წ. I 1915 წ. ოთხშაბათი 15 აპრილი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 57 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 57

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მივნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

## ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ი რ ს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათეს-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ელექტრო-თეატრი „რ ა დ ი უ მ ი.

ორშაბათს, 13, 14 და 15 აპრილს, სამ დღეს, მარტო მოზრდილთათვის

სენსაცია! 2 სერია. სენსაცია!

## საშკა სემინარისტი.

მოსკოვის ქურდების წინამძღოლი.

დრამა 5 ნაწ.

ეს საუცხოვო სურათი ყველასათვის ფრიად საყურადღებოა. საშკა სემინარისტის თავგადასავალი ფანტომასის, ზიგომარისა და ოქროს ხელიან სონკას თავგადასავალს აღემატება და სხვა.

შენიშვნა: ამ 2 სერიაზე მოწაფენი და უწლოვანოები არ დაიშვებიან. რადგანაც ამ სურათის დადგმა დიდ ხარჯებს იწვევს, ამიტომ ბილეთების ფასი მომატებულია. ლოჟა—14 შ.; 1 ადგ.—3 აბაზი; 2 ადგ.—2 აბაზი; 3—5 შაური. დასაწყისი 1 სეანსისა—6½ ს., 2—8 ს., 3—9½ ს. და 4—11 საათ.

ქუთაისის თეატრი.

ქართველ მსახ. ამხანაგობის მიერ, ხუთშაბათს, 16 აპრილს, ამხანაგობის რწმუნებულის და ადმინისტრატორის ვ ა ს ო ურუშაძის საბენეფისოდ გამართული იქნება

## მხიარული საღამო.

წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი კომედია

I. დამთხვეული დედაკაცი. 3 მოქ. გადმოკეთებული შალ. დადიანის-მიერ.

II. ოთხი არშიყი ერთად. ვოდევილი 1 მოქ. ბოლქვაძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

ა ნ ო ნ ს ი: მზადდება წარმოსადგენად: „ყვარყვარე ათაბეგი“, „ცხოვრების ტალღებში“, „მადამ სან ჟენ“.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## „ძმათა პასხალიდის“ აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;

ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

განცხადება.

ვისაც სურს შეიძინოს კარგი ღირსებისა და ბევრი აბრეშუმის თესლი უნდა მიმართოს ნიკოლოზ ბურასს მთელს სპარსეთში, კავკასიასა და თურქესტანში ცნობილ ფირმას. თესლი შემოწმებულია მიკროსკოპიული საშუალებით „პასტერის“ სისტემით და წონით 6 მისხ. თითოეული კოლოფი.

ვ ი მ ე დ ო ვ ნ ე ბ, რომ ბ.ბ. მეაბრეშუმეები დარჩებიან სრული კმაყოფილი, თუ უკეთუ შეიძენენ ამ ფირმის თესლს.

ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა.

იყიდება ნარდათ და ნაწილათაც. მისამართი: მიხეილის ქუჩა

მმ. ადამიძის მაღაზიაში, ქუთაისში.

პატივისცემით ნიკოლოზ ბურასი.

10—7—149.

Кутаисское Мѣстное Управленіе Россійскаго Общества Краснаго Креста

симъ доводитъ до свѣдѣнія выдержавшихъ экзамены на званіе „сестры милосердія Краснаго Креста военнаго времени“, что онѣ при желаніи поступить на службу должны причислиться къ Тифлисской Надеждинской Общинѣ, которая и назначаетъ сестеръ милосердія въ Армію по нарядамъ Управленія Главноуполномоченнаго.

2—1—162

დაიბეჭდა და იყიდება კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლესიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

## გაფრთხილება.

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ამით აუწყებს მეაბრეშმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩნდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი ხერხებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხშიამისათვის

გასული წლების მსგავსად წელსაც ხ. ხრისტოდულიდის

მოულოდნელ საშიროდ გრით, რომ თესლის მეიდგენი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გვაფრთხილოთ: დაკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი“, აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ-ბი“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი“ რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის“ და ს/ს გოკიელოვის შ—ბის“, აქვე დასმულია ლუქით ბეჭდი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოყოლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

ექიმი ი. ჩარექიო ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი სნეულებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ე ბ ი

მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დ რ ო ე ბ ი თ ტ ფ ი ლ ი ს ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. ტფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

## გ ა მ ო ც დ ი ლ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. ჟ.

## გამოცდილი რუსი მასწავლებელი ქალი

სპეციალისტი რუსულსა და მატემატიკურ საგნებში ამზადებს ეგზამენებისა და ხელმეორე გამოცდისათვის ყველა კლასის მოსწავლეებს. მისამართი: კაზაკოვის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა ბინა მასწავლებელ ფილკოვისკსა. 3—2

# ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი**, 13 აპრილი. მთავარ სარდლის შტაბისაგან. პოლანგენის სანაპიროებიდან, 12 აპრილს მტრის კრეისერი ორ სოფელს უნაყოფოთ უშენდა ყუმბარებს. იმავე დღის დილით გერმანელების ცეპელინმა ბელოსტოკზე რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, ზიანი არ მიუყენებია. კარპატებზე პოლენასთან მდებარე სიმაღლეებზე მტრის იერიშები, 11 აპრილს წარმატებით მოვიგერიერთ. სტრიის გზით, 11 აპრილს და 12 აპრილს, დილით შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა ჯერ არ გათავებულა. სხვა პირებზე ჩვეულებრივი სროლაა.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი**. 12 აპრილი. დღის ოფიციალური ცნობა. ბელგიაში ჩვენი კონტრიერიში წარმატებით გრძელდება, მოკავშირეთა იერიშთან სრულებით შეთანხმებული. გერმანელებმა ჩვენზე ორი კორპუსით მოიტანეს იერიში, რომლის დროსაც, მთელი დღის განმავლობაში მახრჩობელა გაზით სარგებლობდენ, რომელიც რამდენიმე გაუსკდარ ყუმბარებში აღმოვაჩინეთ. ჩვენ შესამჩნევათ წინ წავიწიეთ. ჩრდილოეთის გზით მდ. იზერის არხით მარჯვენა ნაპირზე მიუხედავათ გერმანიის გაშმაგებული იერიშებისა, ჩვენ მიერ აღებული ყველა პოზიცია შევირჩინეთ. არგონებზე ჩვენ მტრის ორი თხრილი ავიღეთ, დავატყვევეთ რამდენიმე და ორი ტყვიის მტყორცნელიც ვიხელთეთ. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე კოლანის თხრილებთან გერმანელებმა ჩვენზე ერთი დივიზიით მოიტანეს იერიში და ერთი კილომეტრის სივრცის პირზე იძულებული გახადეს ჩვენი პირველი ხაზი უკან დაწეულიყო, თუმცა ისინიც ჩვენი კონტრიერიშის წყალობით იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ. საღამოს ოფიციალური ცნობა. იპრის ჩრდილოეთით მოკავშირეთა ჯარისკაცისთვის მარჯვე პირობებში ბრძოლა გრძელდება. ინგლისელების ჯარის პირზე გერმანელებმა რამდენიმე პუნქტზე იერიში მიიტანეს. ჩრდილოაღმოსავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის გზებზე მათ წარმატება არა ჰქონიათ.

ჩვენი კონტრიერიშებით მდ. კორიულის (?) მარჯვენა ნაპირზე წინ მივიწევთ. ჩვენი პირის სხვა ნაწილებში ახალი არაფერი მომხდარა.

**ნიში**. 12 აპრილი. 10 აპრილის წინა ღამეს ზემლინის ჩრდილოეთით მდინარესთან მტრის ზარბაზნების მტენავებზე თავდასხმა მოვახდინეთ. ერთი ზარბაზანი დავუზიანეთ, რამაც დიდი ალიაქოთი გამოიწვია სხვა მეზარბაზნეთა რაზმში და აგრეთვე მდ. დუნაის ორთავე ნაპირზე. მტერი თოფისა და ტყვიისმტყორცნელების ცეცხლით გვპასუხობდა, რასაც ჩვენთვის ზარალი არ მოუყენებია. მტერმა ბელგრადს ცეცხლი დაუშინა. ჩვენ მზვერავ მფრინავებსაც უნაყოფო სროლა დაუწყო.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი**. 12 აპრილი. შავი ზღვის ფლოტმა ბოსფორის ფორტებს ყუმბარები დაუშინა. ერთ ფორტზე დიდი აფეთქება იყო შემჩნეული. ოსმალეთის ერთი კრეისერთაგანი ჩვენ ცეცხლს უნაყოფოთ უპასუხებდა.

**პეტროგრადი**. 13 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 10—11 აპრილს, ართვინის გზზე და ალაშკერტის ველზე მცირე შეტაკებები ხდებოდა. კავკასიის პირის სხვა ნაწილებში მდგომარეობა უცვლელია.

**პეტროგრადი**. 13 აპრილი. სარწმუნო წყაროდან იუწყებიან, რომ 12 აპრილს, დილის ექვს საათზე, შავი ზღვის ფლოტი ბოსფორს მიადგა. სამხედრო გემებმა დიდი ზარბაზნებიდან ფორტებსა და ბატარეიებს მარჯვეთ დაუწყეს სროლა. ფენერას ორ ფორტსა და ბატარეიებს: კარიბჯეს, ნემბურნუს, უზუნარს და ორ ფორტს: კაბაკას და მაჯაროს მარჯვეთ ხვდებოდა ყუმბარები. ერთ ფორტზე დიდი აფეთქება მოხდა. სრუტეში მყოფ ოსმალების სამხედრო გემებსაც ვესროდით, რომლებიც გაგვშორდენ. ჯავშნოსანი „ტურგუტი“ ჩვენს გემებს უნაყოფოთ ესროდა. გამოსული ნაღმოსნები ჩვენი ცეცხლით გაბრუნებული იქნენ. ოსმალების ბატარეიები ჩვენს მფრინავებს უნაყოფოთ ესროდენ.

## სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.)

**თეირანი**. 12 აპრილი. ინგლისის ელჩმა და რუსეთის რწმუნებულმა შახს აუდიენცია სთხოვეს. ურჩიეს მოიწვიოს ახალი კაბინეტი, რომელიც დღევანდელ

კრიზისს შეებრძოლება და მოსალოდნელ არასასურველ შედეგს თავიდან აიცდენს. ორ სახელმწიფოს წარმომადგენლების თანადასწრებით მომხდარ თათბირის შემდეგ შახმა საატუდოულეს ახალი კაბინეტის შედგენა დაავალა. ქალაქში მცხოვრებ უცხოელთა შორის, რომლებიც ორ ბანაკათ გაიყვენ, დიდი მღელვარებაა დღევანდელი ომის გამო. აგრეთვე ჯარშიც დიდი მღელვარება სუფევს. სპარსეთში შეჭრილ ოსმალებს ვინ ან რამდენი მიემხრობა ჯერჯერობით ამისი თქმა ძნელია.

**კოპენჰაგენი.** 12 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ დანიის გემ „ინდაროსის" განთავისუფლების შესახებ დეპეშა მიიღო.

**ბელოსტოკი.** 12 აპრილი. დღეს დილის ოთხ საათზე გერმანელების ცეპელინმა ბელოსტოკზე ექვსი დიდი და რამდენიმე პატარა ყუმბარა ჩამოაგდო. ადამიანთა მსხვერპლი არ არის.

**პარიზი.** 12 აპრილი. გერმანელები ლანგერმარკთან თავის მცირე გამარჯვებას ძალიან აზვიადებენ. გერმანელები ნეიტრალურ სახელმწიფოებში დეპეშებს გზავნიან, რომლითაც ცდილობენ დაარწმუნონ, რომ მათი ბრძოლა გამარჯვებით გვირგვინდება. ნამდვილში კი ბრძოლა, რომლითაც გერმანელები ასე თავგამოდებით ამაყობენ, მოხდა ისეთ პირზე, რომელიც 950 მეტრ. არ აღემატება. ჩვენზე მოტანილ იერიშის დროს გერმანელების ძალები მოწინააღმდეგეთა ძალებზე სამჯერ მეტი იყო. შემდეგ მახრჩობელა გაზის გამავრცელებელ ყუმბარების ხმარებას მიჰყვეს ხელი და ამნაირათ დროებით გაიმარჯვეს. მათი იერიში იმავე საღამოს იქნა მოგერებული. მეორე დღეს ჩვენგან მიტანილ კონტრიერიშებმა, რომელიც ამჟამათაც გრძელდება, შეგვაძლებინა წაგვერთმია დაკარგული ადგილების ნაწილი, გერმანელები იძულებული გახდნენ მოგერებითი ბრძოლა ეწარმოებინათ, რომლისთვისაც დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცათ, თუმცა მათთვის სასურველი შედეგი არა ჰქონია.

**ლონდონი.** 11 აპრილი. მალტიდან იტყობინებიან, რომ ინგლისის ჯავშნოსანი „ტრიუმფი", რომელსაც დარდანელის ერთერთ ბატარეისაგან გამოსროლილი ორი ყუმბარა მოხვდა იმ დროს, როდესაც ჯავშნოსანი ნახევარ კუნძულის გალიპოლის სიმაგრეებს ესროდა, ძალიან არ დაზიანებულა. დაჭრილია ორი.

**სოფია.** 12 აპრილი. ბულგარეთის სააგენტო უარს ჰყოფს სოლუნში გავრცელებულ იმ ხმებს, ვითომ ბულგარეთის გზით ოსმალეთში ექვსი ვაგონით სამხედრო მასალა და წყალქვეშა ნავები გადაეტანოთ.

**ცეტინიე.** 12 აპრილი. ავსტრიის წყალქვეშა ნავმა, 9 აპრილს, იტალიის გემი „იოლანტა", რომელიც იტალიის ბარიდით სანდჟიოვანიდიმედასა და სკუტარის შუა დასცურავდა, შეაჩერა და გაჩხრიკა. ავსტრიელების ასეთი საქციელი ალბანელების ტერიტორიალურ წყლებზე ალბანელების ნეიტრალიტეტის დარღვევას მოასწავებს.

**თეირანი.** 13 აპრილი. საად-დოულეს ახალი კაბინეტის შედგენა ეძნელება, რამაც ინგლისისა და რუსეთის დიპლომატიის წარმომადგენლები აიძულა შახს ხელახლათ აუდიენცია სთხოვონ, რათა ურჩიონ ახალი კაბინეტის შედგენას ნუ დააგვიანებს. საჭიროა სპარსეთის ნეიტრალიტეტის დასაცავათ ყველა ზომის მიღება. შახმა გადასწყვიტა ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა თანახმათ მიმართონ უფრო ყველასათვის ცნობილ პრინც ეინუდოულეს, რომელსაც მეჯლისი ჰპირდება მხარი დაუჭიროს დღევანდელ საქმის ვითარებაში. მცხოვრებთა სულიერი განწყობილება აღშფოთებულია, თუმცა წესრიგი არ დარღვეულა.

შაჰინშახის ბანკმა დღის ორ საათზე კარები დაკეტა. ბანკის წინ ხალხი ღელავს, რომელსაც პოლიცია ამშვიდებს. თეირანიდან გერმანიისა და ავსტრიის ელჩები გამოვიდნენ. მათ ჟანდარმერიისა და პოლიციის რაზმი აცილებდა. პრინც რგისს ხუთი გერმანელი ახლავს. ახალი კაბინეტი ჯერ შემდგარი არ არის. მეჯლისს სხდომა აქვს დანიშნული საღამოს. ქალაქში პოლიციის უფროსის ხელმძღვანელობით პატრულები დადიან, გარდა სპარსეთის აფიცრებისა.

# შიო მღვიმელი.

(30 წლის მოღვაწეობის გამო.)

ქართველ ბავშვების დედა-მზრუნველმა დაუღალავმა მოღვაწე-ქალმა ანასტასია თუმანიშვილმა-წერეთლისამ უკვე აღნიშნა თავის ღვაწლმოსილ ჟურნალ „ჯეჯილში", რომ წელს ოცდაათი წელიწადი სრულდება მას შემდეგ, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა „ძია შიო" და ჩვენ ბავშვებს ფიანდაზად გადაუშალა თავისი სული და გული, თავისი დაკვირვება, თავისი მადლით ცხებული ნიჭი.

ჩვენში არც ერთი მწერალი არ მოიპოვება ისეთი, რომელსაც შიო მღვიმელისავით უყვარდეს ბავშვები, რომელიც ასე ზედ მიწევნით იცნობდეს მათ სულისკვეთებას და ასეთი თავგამოდებით ემსახურებოდეს მათ აღზრდასა და განვითარებას.

აი რასა სწერს მეორე ჩვენი დიდი მოამაგე, სახელოვანი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილისა შიოს შესახებ:

„**შიო მღვიმელი** საბავშო ლიტერატურის, იმის პოეზიის ბაღნარის ტურფა ყვავილია, დაუშრეტელი წყარო სიტკბოებისა, ალერსის და კაცთ მოყვარეობისა, სამშობლოს ყვავილების გვირგვინის გრეხილით შემკული.

შიოსაგან დიდის ხელოვნებით დახატული პატარა მოტიკტიკე თინა, ლამაზი, ცქრიალა თამრო, კეთილი ნიკო, ცელქი გოგია, იმათი ჭკვიანი და სათნოებით აღსავსე სიტყვა, ქცევა, ცხოვრება, ცხოვლათ იკვლევს გზას პატარა მკითხველების გულისკენ და საუკეთესო თესლს სთესავს იმათ ნორჩ სულში სათნოებისას და სიყვირულისას.

ოცდა ათი წელიწადია, რაც შიო შეუყენებლივ აბნევს საუცხოვო მარგალიტებს პოეზიისას. ქართულ საყმაწვილო ჟურნალებში და ყოველი პატარა მკითხველი, თავის საყვარელი ჟურნალის მიღებისთანავე, პირველათ ბიძია შიოს ლექსს ეწაფება, ჰყლაპავს და გულს სამოთხისებურის! რაზმით იხურებს და, პეპელასავით ცქრიალის დროს, ზეპირათ ღიღინებს.

საყმაწვილო ჟურნალების გარდა, შიოს მრავლათ აქვს გამოცემული ცალკე წიგნათ უფრო ვრცელი და დამუშავებული ლექსთა კონები, სურნელოვნებით აღსავსე და ლამაზები: „სამი ცელქი", „ცვარი", „ძუნწი", „ოქროს თავთავი" და სხ.

წელს ძვირფას შიო მღვიმელს, ამ ყმაწვილთა გულთა მხილავს და საყვარელს პოეტს, ოცდა-ათი წელიწადი უსრულდება, რაც პირველათ ხელში კალამი აიღო და პირველი საგალობელი უგალობა ქართველ მომავალ იმედებს. იმის ლექსთა ზედგავლენით აღზრდილნი და ჯერეთ კიდევ ბალღობის ასაკში მყოფნი აპირებენ იმის პატივის ცემას, სიცოცხლითვე ვარდ-ყვავილით შემკობას და იმის ხელმოკლეობით შევიწროებულ ცხოვრების გასაუმჯობესებლათ სალიტერატურო დილის მოწყობას.

წავიდეთ, ყმაწვილებო, იმ დილაზედ, პატივი ვცეთ, ჩვენის თანაგრძნობით გული მოულბოთ და დავარწმუნოთ, რომ მის სიმღერის ჩვენც ბანს ვაძლევთ და იმის ნათესს გულში ვაყვავილებთ".

უკეთესი დახასიათება შიო მღვიმელის ნიჭისა და მოღვაწეობისა მე არ შემიძლია და ამიტომ მეტს აღარას ვიტყვი იმ ჭირნახულობაზე, რომელიც განუცდია შიოს **ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში.**

მე მინდა გავიხსენო მხოლოდ გულმავიწყობა და თუ გადაჭარბებულათ არ ჩამომართმევთ—უმადურობაც ქართველი ფართო საზოგადოებისა.

ნათქვამია: ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგის კაკალიც არაო! სწორეთ ამ „ზოგის კაკალის" საქმე ემართებოდა და ემართება შიო მღვიმელს.

იმ დროს, როდესაც ბევრათ მასზე უნიჭო, მაგრამ ახალ-მოდის მგოსანის სახელი ჰქუხს საქართველოში და მათ შესახებ რეფერატს რეფერატზე კითხულობენ თუ სწერენ ახალ-მოდისავე „მკვლევარნი" ჩვენი სიტყვა-კაზმულ მწერლობისა, შიო მღვიმელი ჩრდილში სდგას და აქამდე ღირსეული ყურადღება არავის მიუქცევია, იმისდა მიუხედავათ, რომ თავის მადლიანი კალმით ეს ოცდა ათი წელიწადია დარაჯათ უდგია მოზარდ თაობას და აფაქიზებს მათ ზნეობას, ანვითარებს მათ გონებას და ასპეტაკებს მათ გულისთქმას. ბევრი თანამედროვე მგოსანთაგანი პირდაპირი მოწაფეა შიო მღვიმელისა, როდესაც საბავშო რამეს სწერენ (გრიშაშვილი, შანშიაშვილი, ევდოშვილი, ახოსპირელი და სხვა).

ჩრდილში სდგას შიო თავისი პირადი ცხოვრებითაც: გულ-კეთილი, თავის სოციალურ მდგომარეობის კარგად შემგნები, თვალში არავის ეჩხირება და „ხელმოკლეობით შევიწროებული" ზის თავისთვის მობუზულ წიწილასავით ჩვენ სალიტერატურო ოჯახის ერთ-ერთ კუთხეში და გრძნობით სავსე, ტანჯული იობისავით—ღმერთს მაინც მადლობასა სწირავს, რომ მისი მოწაფენი, მის ლექსებზე აღზრდილნი და ანარეკლნი მისის ღვთაებრივის პოეზიისა, თანდათან თვალსაჩინონი ხდებიან.

ჩრდილში დააყენეს შიო ბევრმა მისმა „ამხანაგ-მეგობრებმაც"! იყო დრო, რომ უშიოოთ ფეხსაც ვერ გადასდგამდენ; იყო დრო, როდესაც ყველა „ჩემო შიოს" უძახდა, მაგრამ დღეს კი. . ზოგიერთები ვეღარც კი სცნობენ.

ჩრდილში დააყენა იგი ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების მთავარმა გამგეობამაც.

თავის მინდობილისა და უეშმაკო ხასიათის მეოხებით შიო შეიქმნა „ზვარაკად განტევებისა" და როცა ამ საზოგადოებაში ანგარიშები აწეწილ-დაწეწილი გამოდგა, ყველამ შიოზე ჩამოიწმინდა თავისი ხელები!...

სრული ოცდახუთი წელიწადი ემსახურა შიო ამ საზოგადოებას, მის ხელში აყვავდა, გაიზარდა და გაფართოვდა ეს საზოგადოება, აქ დალია მან დღენი თავის სიჭაბუკისა. განსვენებულ ი. გოგებაშვილის წიგნების კორექტურამ თვალში ჩინი წაართვა. ამა ქვეყნის რჩეულთა „კაპრიზებმა" გული გაუწყალეს, ჰქონდა კიდეც საშუალება თავის დროზე გასცლოდა მათ, მაგრამ სიყვარული მწიგნობრობისადმი ისეთი დიდი ჰქონდა, რომ ყოველივე გაჭირვებასა და დამცირებას იტანდა...

მაინც არ დაუფასდა ამაგი! „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწია" და დღეს შიო, ყველას „[illegible]" [illegible] შვების სულის [illegible] შიო, [illegible] ნელ ნივთიერ [illegible] და შეურაცყოფას განიცდის...

არ არის შიო ღირსი ასეთის მდგომარეობისა და დამნაშავე იქნება ჩვენი საზოგადოება, თუ ახლა მაინც არ მიაქცევს ყურადღებას და სულით ამაყსა და გულით სპეტაკ მგოსანს ღირსეულ პირობებს არ შეუქმნის მოქმედება-აღმაფრენისათვის!..

როგორცა სჩანს თფილისელებს განუზრახავთ გაუმართონ „დილა" შიო მღვიმელს და სიცოცხლითვე ვარდ-ყვავილებით შეამკონ იგი.

მადლობა შემომქმედს, რომ ალალი კაცის ალალი შრომა ახლა მაინც ფასდება!..

ასეთი „დილა" უნდა გაიმართოს ქუთაისშიაც და ამ დილის გამართვა უნდა იკისროს ქუთაისის ქართველ ქალთა პატივცემულმა წრემ,—როგორც დედებმა და აღმზრდელებმა ჩვენის ბავშვებისა, რომელთა სიწმინდე-სიკისკასეს დაუღალავათ უგალობს ძვირფასი მგოსანი შიო მღვიმელი.

ჩვენი რედაქცია მზათ არის ყოველივე დახმარება გაუწიოს ქუთაისში შიოს სახელობის „დილის" გამმართველებს.

ძვირფასო შიო! მოგვილოცნია ოცდაათი წლის შესრულება დღიდან შენის ტკბილის ჭიკჭიკისა და გისურვებთ ღირსეულად დაფასებულიყოს შენი უანგარო და უებრო ჭირნახულობა.

**ია ეკალაძე.**

# ახალი ამბავი.

ორშაბათს, 13 აპრილს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნული იყო ქალაქის საბჭოს კრება. კრება ხმოსნების საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო შემდეგისათვის გადაიდვა.

✦ როგორც ვწერდით „როსიის" კანტორაში ერთმა ვაჭარმა რამდენიმე ბოჭკა შაბიამანი მიიტანა, რომ კანტორას სხვა ქალაქებში გაეგზავნა. დღემდის ქუთაისში არავინ აღმოჩნდა ისეთი გულშემატკივარი, რომ ეს შაბიამანი დაეკავებია.

✦ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის" მარტის, მესამე ნუმერი, ჟურნალი ჩვეულებრივათ შინაარსიანია.

✦ დღეს ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილება გაარჩევს გაბრიელ ნოზაძის და ალექსანდრე რობაქიძის საქმეს.

# ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ევოლიუცია.

(წერილი პირველი).

(დასასრული იხ. „სამშობლო" 56-ე №).

ქართველმა ინტელიგენციამ აუღო ალღო ცხოვრების ამ მოთხოვნილებას და თავისი თავი ხალხის მოსარჩლეთ, დემოკრატიული პრინციპების მებაირახტრეთ გამოაცხადა.

ხოლო, შემდეგში, ჩვენი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა ევროპის დაწინაურებულ ერთა აზროვნების ზეგავლენით, მოისურვა ქართულ ცხოვრებაში დაენახა იმგვარი ეკონომიური და სოციალური მოვლენანი თავიანთი აუცილებელი შედეგებით, რომელიც მართლაც არსებობს კონტინენტის ყოველ მხრივ განვითარებულ საზოგადოებაში, მაგრამ ადგილი არა აქვს ქართულ დაქვეითებულ და ჯერ კიდევ ეკონომიურ და სოციალურ განვითარების პირველ საფეხურზე მდგომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მთელი თავისი ყურადღება მათ მიაპყრეს სოციალურ საკითხს, რომელიც წამოაყენა ევროპის ცხოვრებამ სხვა და სხვა, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე კლასთა შორის არსებულ ეკონომიური ხასიათის უთანხმოების გამო. ეკონომიური განხეთქილებისა და კლასთა შორის შეურიგებელი ბრძოლის გარდა, ვერაფერს ვერ ამჩნევს ჩვენი, დასავლეთ ევროპის სოციალისტურ ლიტერატურაზე აღზდილი ინტელიგენცია.

ადამიანთა საზოგადოება, მათი შეხედულებით დაყოფილია ორ, ერთი მეორის მოწინააღმდეგე ბანაკათ, რომელთა შორის სწარმოებს შეუწყვეტელი ქიშპობა და შეხლა-შემოხლა. მათ დროებით შერიგებაზედაც კი არ შეიძლება ლაპარაკი, იმდენათ შეუბრალებელი და ულმობელია ამ სხვა და სხვა სოციალურ კატეგორიათა შორის წარმოებული ბრძოლა.

კაცობრიობის მეტათ რთულისა და მრავალფეროვან მთელი წარსულისა და აწმყო ცხოვრების საფუძვლათ მათ მიაჩნიათ ეკონომიური მიზეზებით გამოწვეული ბრძოლა კლასთა შორის, რომელიც სწარმოებს ხან ფარულათ, ხან აშკარათ, ხან შეგნებულათ და ხან კიდევ შეუგნებლათ, სტიქიურათ. ეროვნებათა შორის განხეთქილება და ამ ნიადაგზე აღმოცენებული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ხშირი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში და, რაც წინ მიდის ეს უკანასკნელი, უფრო საშინელი და გულშემზარავი, გაცილებით უფრო სასტიკი და მეტი მსხვერპლის მომტანი ხდება, მათი შეხედულებით გამოწვეულია მარტოოდენ მებრძოლ ეროვნებათა გაბატონებულ კლასების მიერ მერკანტილური სურვილით. აქ ორი განსხვავებული სახისა და განსაკუთრებული ეროვნული ინტერესების მქონი საზოგადოება კი არ უპირდაპირდება ერთმანეთს, არამედ ორი, პოლიტიკურ და ეკონომიურ პრივლეგიებით აღჭურვილი კლასი, გამოდის საომრათ და იბრძვის მთელი ერის სახელით პირადი, კლასიური ინტერესების გულისათვის. „თანამედროვე ეროვნული იდეია არის ბურჟუაზიული იდეიაო",—ამბობს თეორიტიული სოციალიზმის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელთაგანი—კარლ კაუტსკი.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ სათუო და უკიდურეს შეხედულებას არაოდეს არ ჰქონია გასავალი ევროპის კულტურულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში. თვით სოციალისტურ პარტიაში ყველა არ იზიარებს ამ ყალბ და ცალმხრივ შეხედულებას; ამ ხანათ პარტიაში გაბატონებულია ზომიერი, სინამდვილესთან უფრო ახლოს მდგომი აზროვნება, რომელიც, რაც დრო გადის, უფრო მეტ მიმდევარს პოულობს ყველგან, სადაც კი არსებობს სოციალისტური პარტია. მართლაც ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა არსებობა საზოგადოებრივი ცხოვრებისა, რომ საზოგადოების კლასთა ან წოდებათა ურთიერთი დამოკიდებულება მარტოოდენ ქიშპობით და ერთი მეორესთან შეურიგებელი ბრძოლით ხასიათდებოდეს. ჩვენი ღრმა რწმენით უფრო ხშირ და ყოველდღიურ, უფრო მუდმივ და ნორმალურ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს საზოგადოების შემადგენელ, სხვადასხვა სოციალურ ელემენტთა შორის თანამშრომლობა: ეკონომიურსა, პოლიტიკურსა, მეცნიერულსა, ლიტერატურულსა, ეროვნულსა და სხვა ნიადაგზე.

მართალია, დღევანდელი გაფიცვები კლასთა შორის არსებული ბრძოლის ერთი გამოხატულებათაგანი არის, მაგრამ ეს მოვლენა ხომ საზოგადოების ნორმალურ მდგომარეობის დარღვევას ნიშნავს და დანარჩენ დროს მუშები და მეპატრონენი ხომ თანამშრომლობენ განსაზღვრულ ეკონომიური მიზნის მისაღწევათ (**თანამშრომლობა ეკონომიური**).

მართალია, პარლამენტებში ხშირათ გაცხარებული ბრძოლა და თავშეუკავებელი შეხლა-შეტაკება არსებობს ორატორთა შორის, მაგრამ არც ერთი პარტიის წარმომადგენელი არ კმაყოფილდება მარტოოდენ უარყოფითი საპარლამენტო მოღვაწეობით და თითქმის ყველა მათგანი იღებს მონაწილეობას საერთო სახელმწიფო კანონმდებლობაში (**თანამშრომლობა პოლიტიკური**):

ყველაზე უფრო თვალსაჩინო და აშკარაა ერთი მეორის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი კლასების მიერ ერთი მეორისადმი ხელის გაწევა და შერიგება-შეკავშირება, მათ შორის შუღლისა და ქიშპობის მოსპობა და მტკიცე ერთობის ჩამოვარდნა საერთო, საეროვნო მიზნის მისაღწევათ (**თანამშრომლობა ეროვნული**) და სხვა...

დასავლეთ ევროპის ყველა მომქმედმა სოციალურმა პარტიამ შეიგნო ეს ყველასათვის თვალსაჩინო ჭეშმარიტება და საჯაროთ აღიარა, რომ სოციალისტურ პრაქტიკასა და თეორიას შორის არსებობს აშკარა წინააღმდეგობა. სოციალური თეორია სრულიათ არ შეესაბამება სოციალისტურ პრაქტიკას: სიტყვით სოციალისტები წმინდა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დგანან, მაგრამ, საქმით, პრაქტიკული მოქმედების დროს, ისინი ღალატობენ ამ იდეიას და ძალაუნებურათ, უფრო კი პარლამენტურ მოღვაწეობის დროს, კლასთა შორის თანხმობითი მოქმედებისა და თანამშრომლობის მიმდევრათ გამოდიან. სწორეთ აქიდან წარმოიშვა კრიზისი საერთაშორისო სოციალიზმისა. ვისაც სურდა წმინდა კლასთა ბრძოლის ნიადაგზე მდგარიყო, უარჰყო სოციალისტური პარტიის მიერ მონაწილეობის მნიშვნელობა პარლამენტში და პირდაპირი მოქმედების (Actin directe)*) გზას დაადგა. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში ენერგიულმა რევოლიუციონურმა გამოსვლამ საფრანგეთის მშრომელი ხალხის სინდიკალურ ორგანიზაციების, პროფესიონალურ კავშირების მხრით, კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ, ცხადჰყო ამ ახალი ბრძოლის საშუალების სრული უვარგისობა მუშათა კლასის სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

*) იხ. ამის შესახებ ჩვენი წერილები „ისარში" 1907 ამ სათაურით: „სოციალ-დემოკრატია, მარქსიზმი და სინდიკალიზმი".

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ჯერ კიდევ ძალაშია ძველი, ტრადიციული, ორტოდოქსალური სოციალიზმი მთელი თავისი შეურიგებელი და უკიდურესი ხასიათით და რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რაც დრო გადის და რუსეთი, დასავლეთ ევროპის მიხედულობით, ადგება კონსტიტუციურ სახელმწიფოების გზას, სოციალ-დემოკრატიული პარტია ნაკლებათ შეურიგებელი და რევოლიუციონური ხდება; მეტ მშვიდობიანობას და ლოიალობას იჩენს.

ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, რადგან, ჩვენმა ეროვნულმა დაკნინებამ და გადაგვარების ტენდენციამ ჩვენ სოციალისტურ ინტელიგენციაზედაც იქონია გავლენა და ანაციონალურ (ე. ი. არა ეროვნულ) გზაზე დააყენა. ამ ყალბსა და ჩვენის ეროვნულ ცხოვრების ძირის გამომთხრელს და სამარის კარამდი მიმყვან გზას მედგრათ და არაჩვეულებრივი გულმოდგინებით სტკეპნიდენ და სტკეპნიან ჩვენი საბრალო ქვეყნის მხსნელნი რამოდენიმე წლის განმავლობაში.

ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების მომავალ მკვლევარს არ შეუძლია არ

✦ კოლა ჩიქოვანისა და მამა ლავრენტი დევიძის პატარა ბავშებმა ამხანაგებში შეკრიბეს 3 მანეთი და 36 კაპიკი, რომელიც გადასცეს ჯარში გაწვეულთა დამხმარე კომიტეტს.

✦ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში პირველი გამოცდები დასამთავრებელ კლასში დაიწყება დღეს 15 აპრილს. გამოცდები დასრულდება 30 აპრილს.

✦ ქალთა ეპარხიალურ სასწავლებლის მერვე კლასის მოწაფეებს წლიური გამოცდები დღეს, 15 აპრილს, დაეწყებათ.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინდელ წერილში „ქართული გალობის შესახებ“ შემდეგი კორექტურული შეცდომებია: დაბეჭდილია: „სანამ ჩვენი კომპოზიტორების მიერ კარგათ **დამუშავებულ** გალობებს მიიღებდეს ქართველობა, მანამდე კიდევ რამდენიმე **ასი** წელი გაივლის... უნდა იყოს: **ათი** წელი გაივლის“ და სხ. ცოტა ქვემოთ დაბეჭდილია: „ჩვენი ეროვნული გალობის მოსმენას **აჭარლების** წირვისა და შერყვნილი გალობების მოსმენა ურჩევნია“... უნდა იყოს: **აჭრელებული** წირვისა და შერყვნილი გალობის მოსმენა ურჩევნია... და სხ.

**თ ე ა ტ რ ი.**

ქარ. მსახიობთა ამხანაგობა მომავალ შაბათს, დასდგამს ჰაუპტმანის პიესას „დაძირული ზარი“ დაკლებულ ფასებში.

კვირას, განმეორებული იქნება მესამედ „იუდა ისკარიოტელი“.

—

ვასო ურუშაძის ბენეფისის ბილეთები უკვე იყიდება თეატრის კასაში. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

——

ქრ. მსახიობთა ამხანაგობის გაზაფხულის სეზონი დასრულდება 3 მაისს.

**მოწერილი ამბები.**

— ამ თვის პირველ რიცხვებში გაძარცვეს ს. კვალითის მცხოვრები ბარაბაძე და წაართვეს 250 მანეთი. ამ ქურდობის შესახებ აქაურმა ადმინისტრაციამ შეჰყარა მთელი კლდეეთის საზოგადოება ქურდების აღმოსაჩენად. ხალხი დაღამებამდე ჰყავდათ ერთს ალაგას დაკავებული. ხალხს რაღას ეკითხებოდენ როდესაც მიიგნეს ის ადგილი, სადაც ცხვარი გაეტყავებიათ, ტყავი და თავ-ფეხი იქვე დაეტოვებიათ და თვითონ ნაქეიფრებს მერმე მიხდომოდენ და ფული წაერთმიათ მოხსენებული ბარაბაძიდან. ამბობენ, იმ დღესვე გაუგეს ქურდებს გზა-კვალიო.

— 4 აპრილს დანიშნული ჯარის კაცთა და მათ ოჯახების შემწეობის აღმომჩენი შორაპნის მაზრის საზოგადოების წლიური საზოგადო კრება არ შესდგა. რადგან საზოგადოებამ მოითხოვა გაზეთის საშუალებით გამცხადების ნაცვლად წევრების მოსაწვევად დაიგზავნის ცალცალკე ბარათები და ანგარიში შესდგეს დაწვრილებით. შემდეგი კრება გადაიდვა 25 აპრილისთვის ზესტაფონის საკრებულო დარბაზში, საღამოს 7 საათზე.

— აქაური ზესტაფონის ვაჭრების თავაშვებულებას შაბიამნის გაყიდვაში საზღვარი არ აქვს. მადა-გაღვიძებულ ვაჭრებს გაუყიდნიათ და ჰყიდიან 15—20 მანეთამდე ფუთს შაბიამანს. ადმინისტრაციას სდომებია აწეროს ვის რამდენი ფუთი აქვს გასაყიდი შაბიამანი და კიდეც დაუწერიათ. მაგრამ ამით შორს ვერ წავლენ. გამოსასვლელ კარებს კიდევ იპოვნიან ვაჭრუკები.

**თფილისი.**

— კნ. ეკატერინე ერისთავის ქვრივმა წ. კ. ს. თავის ქმრის ხსოვნის აღსანიშნავათ უხვი შეწირულება უძღვნა. ამის გამო წარსულ კვირას წ. კ. ს. კრებაზე კნ. ეკატერინე საზოგადოების საპატიო წევრად იქნა არჩეული.

— თფ. პირველ სავაჟო გიმნაზიის გარდაცვალებულ დირექტორის ლეონარდ ზუბალაშვილის ადგილზე ნიშნავენ მეხუთე ავლაბრის გიმნაზიის დირექტორს ბ. იაკობ სოლომონის ძე ღულაძეს.

— სათათბიროს დეპუტატათ ნამყოფ ჰილა ლომთათიძეს ნება დართეს ასტრახანიდან კავკასიაში დაბრუნდეს. იგი ავად არის ამჟამად.

— 19 აპრილს, გორში მოხდება ამ მაზრის თავად-აზნაურობის საგანგებო კრება და განიხილავს იმ საკითხებს, რომელიც წარდგენილია საგუბერნიო კრების განსახილველად. ამ კრებაზე ბაასი იქნება აგრეთვე თავად-აზნაურობის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

— თფ. თავად-აზნაურობის მომავალ კრებაზე უნდა განიხილონ პროექტი საბანკო მოგების განაწილებისა სხვადასხვა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; აგრეთვე საკითხები ღვინის ფალსიფიკაციის, კახ. რკინის გზის, ფილოქსერის და სხვ. უნდა მოხდეს აგრეთვე არჩევნები სათავად-აზნაურო სხვადასხვა თანამდებობის პირთა. ზოგი იმ აზრისაა, რომ ომის გამო ეს არჩევნები უნდა გადაიდოს; ზოგი კი იმის მომხრეა, რომ არჩევნები ეხლა მოხდეს.

# თეატრი და ხელოვნება.

ოლიმპიის ძლიერ ღმერთების საბძანებელში შემოიჭრა ახალი მოძღვრების სიო.

მრისხანე იუპიტერის წინ აღიმართა ახალი ძალა მშვიდი სათნოებისა და გულკეთილობისა, მოწყალე და შემბრალე მაშვრალთა და დავრდომილთა.

სასტიკი იყო მრისხანე კეისართა და ამპარტავან ქურუმთა შურისძიება ახალ მოძღვრების მიმდევართა მიმართ, მაგრამ ქრისტიანობამ ტანჯვით და წამებით გაკაფა გზა სამართლიანობისა და კიდითკიდემდე მისწვდა მისი ხმა, ხმა იმედისა, ზე-აღდგომისა!

რომის წარსული ისტორია მდიდარ მასალას იძლევა სათეატრო ხელოვნებისათვის. მრავალი კარგი პიესა არსებობს ამ ისტორიის დამახასიათებელი. ამათ რიცხვს მიემატა კიდევ ახალი პიესა ბ-ნ სობოლშჩიკოვ—სამარინისა „იუდას მემკვიდრე“, რომელიც ქუთაისის ამხანაგობამ ზედიზედ წარმოადგინა შაბათს და კვირას.

ეს პიესა სარეპერტუარო პიესად შეიქნება.

ჩვენ საკმაოდ დაგვაკმაყოფილა ამ წარმოდგენის მხატვრულმა მხარემ, მიზანსცენებმა და მასსიურმა მოძრაობამ.

თანამშრომელთ საკმაო მომზადება და შრომის გაწევა ეტყობოდათ, რაც ფრიად სასიამოვნოა.

ეჭვს გარეშეა, კვირაში ორი-სამი ახალ-ახალი პიესის მზადება რომ არ უხდებოდეს ჩვენებურ დასს, რასაკვირველია, უკეთ მოხერხდებოდა ნაწარმოების შესწავლა და შეთვისება, მაგრამ ჩვენი საზოგადოება არის გულცივი და გამოგანუვითარებელი. ორჯერ დადგმული პიესა უკვე „მოძველებულია“ ჩვენი გემოვნებისათვის და დამსწრეთა რიცხვი თანდათან კლებულობს, მაშინ, როდესაც სხვაგან მთელის თვეობით იდგმება ხოლმე ერთი და იგივე პიესა. რა გასაკვირველია, რომ ამგვარი განმეორებით პიესის ასრულება თანდათან მხატვრული და უნაკლული შეიქნეს.

ასრულების მხრივ ამ პიესას, ამხანაგობის ძალ-ღონის მიხედვით, რიგიანი შესრულება ჰქონდა.

ქ-ნმა მდივანმა ძალაუნებურად მეტად მძიმე მოვალეობა იკისრა თავის თავზე.

კალვიას როლი მეტად მძიმეა ამ მსახიობისათვის. ეს არც მისი ამპლუა არის.

მართალია ქ-ნი მდივანი პირნათლათ ცდილობდა თავისი მოვალეობის შესრულებას და საკმარისად შეასრულა იგი, მაგრამ კალვიას სიმძიმის დაძლევა მას მაინც სავსებით არ ძალუძს. ეს ერთი რთული დრამატიულ როლთაგანია, და ამ როლის ღირსეულად შესრულებაზე არის დამოკიდებული პიესის მთელი ძალა და ძლიერება.

მეორე პასუხსაგები როლი ეკუთვნის ფაონს (გამცემს). ამ როლში ბ-ნმა იაშვილმა სრულიად დაგვაკმაყოფილა. მან ამ საღამოს სავსებით გამოიჩინა მთელი სიძლიერე თავისი მდიდარი ხმისა. საუცხოო ადგილები მისი სულის ტანჯვისა და სინიდისის ქენჯნისა თავისი მოძღვარის გაცემის შემდეგ, მშვენივრად გვაგრძნობინა. მხოლოდ არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ, რომ მეტად უადგილოდ იცის, ასეთ დროს, მსახიობმა ფეხების მაღლა ათამაშება, ხანდახან ზევითაც შეხტება ხოლმე. ეს სრულიად მეტია ჩვენის აზრით და ბევრსაც ვნებს კარგს თამაშს. დრამატიული ადგილების და სულიერი ტანჯვის გადმოცემა ფეხების აუთამაშებლად უფრო ადვილად უნდა შეიძლებოდეს.

ეს ფეხების ათამაშება იყო მიზეზი, რომ ზოგიერთი ჭკუა მხიარული მაყურებელი იცინოდა სწორედ იქ, სადაც სიცილს ადგილი არ უნდა ჰქონოდა, და ეჭვს გარეშეა ეს შეუგნებლობა მსახიობს თამაშის დროს გულს უგრილებდა, და ამიტომ არ უნდა შევუწყოთ ხელი ასეთ მაყურებლის სუსტ მხარეს—სიცილის გამომწვევ მიზეზებს...

ჩვეულებრივად დაკვირვებით შეასრულა ქურუმის როლი ბ-ნმა ყალაბეგიშვილმა.

მოხდენილი იყო ბ-ნი ბარველი მუდამ მოქეიფე დიოდორის როლში.

კარგები იყვნენ ბბ-ნნი მურუსიძე და გვარაძე.

არ უხდება რომაულ სტილს ქართული მუხამბაზისებური დამღერება, როგორც ბ-ნმა გვარაძემ ჩაიმღერა. ამგვარ „შიქასტას“ სიჩუმე სჯობდა.

სცენიდამ მოისმოდა ხანდახან უაზრო წინადადება, მაგალითად: „ცივი ხარ და გაგრილება მოგიხდებაო“, ასეთ უაზრო სიტყვებს ისევ დიდი „პაუზა“ გვირჩევნია.

ჯაფარ-ფაშა.

## გაზეთ. „შადრევანში“ ატეხილი დავის გამო.

(იხ. „სამშ. № 56).

ცხადზე უცხადესია, რომ ყოველივე ნაბიჯის გადადგმაში მეიდროთ უნდა ვუკავშირდებოდეთ ცოცხალ სინამდვილეს და მასთან შეფარდებულად ვაძლევდეთ ჩვენს ხმას ამა თუ იმ მოსაზრების სასარგებლოდ. შეუცდომელი ის არის თავის მოქმედებაში, ვინც ახლო დგას სადავო საკითხთან და დაწვრილებით იცნობს მას. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია დასაბუთება ჩვენი მოსაზრებისა, როცა თვითონ გარკვეულად ვმოქმედობთ, საკუთარი გამოცდილებით ვითვალისწინებთ საქმეთა ვითარებას და არა სხვისი წაქეზებით, ზეპირათ, გამოვდივართ რაიმეს დასაცავად.

ბ. ჯაფარიძემ დაწვრილებით გვამცნო თავისი აზრი, განსვენებული გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების შესახებ და მოითხოვა გადამსინჯველი კომისიის შედგენა, რისთვისაც, მართალი უნდა მოგახსენოთ, მადლობის ღირსია იგი, რასაც ნათლად გრძნობს ყოველი პრაქტიკოსი სახალხო მასწავლებელი და რაც „პედაგოგიურ სიბეცით“ მოეჩვენება ჩაკეტილ კაბინეტში მოაზროვნე, თეორეტიკოს პედაგოგებს. კომისიის შემადგენლობის შესახებ ბატ. ჯაფარიძეს ჯერ არაფერი უთქვამს, ალბათ იმიტომ, რომ ნაადრევად მიაჩნია, ან ჩვეულებრივი კომისიის მომხრეა. ერთიც და მეორეც შემცდარ აზრად უნდა ჩაითვალოს, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთი მხრით ახლო მომავალში სახელმძღვანელოების გადასინჯვის მიუცილებლობას და მეორე მხრით—წინეთ მომხდარ შესწორებებს, რომლებიც ისე ახლოს სდგანან სახალხო სკოლის მოთხოვნილებასთან, როგორც ქართული ენა ჩინურთან. რომ ყველა სახელმძღვანელოები უნდა გადისინჯოს, შესწორდეს და დაუქვემდებარდეს სახალხო სკოლის მიზანს, რომელიც გამოიხატება მოზარდი თაობის დაუძალებლად ყოველმხრივ განვითარებაში, ამას ჩვენთვის (პრაქტიკოსები) ახსნა-განმარტება არ სჭირია; მაგრამ ვინ უნდა იკისროს წიგნების შესწორება, აი—საყურადღებო კითხვა ყველა იმისთვის, ვისაც სურს სწავლის საქმის ცოტათ თუ ბევრათ ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება.

„Русское слово“-ს I და II ნაწილის წინეთ მომხდარ შესწორებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ სახალხო მასწავლებლებს, რადგანაც მათთვის არავის არ მოუთხოვია წარმომადგენლების არჩევა, რომ მათი დახმარებით შესწორებულიყო აღნიშნული წიგნები, ამიტომაც გადასინჯვამ უნაყოფოდ ჩაიარა და დღეს ეს საკითხი ისევ გადასაწყვეტია.

რაც უნდა მცოდნე იყოს კაცი, მაინც არ შეუძლია სულით და გულით დაუახლოვდეს რაიმე საქმეს, თუ თვითონ მას არ განუცდია თავის თავზე მთელი სიძნელე-სიადვილე ამ საქმისა. მით უმეტეს ამ საკითხში სახალხო მასწავლებლების ჩაურევლად არაფრის გაკეთება არ შეიძლება, რადგანაც მისს დაჩქარებით გადაჭრაში მასწავლებლებსავით არავინ არ არის დაინტერესებული და მათზე მეტს არავის არ აწევს კისერზე, დასაწყის სკოლათათვის დანიშნულ სახელმძღვანელოთა სიავ-კარგე. გამოვდივართ რა ამ მოსაზრებიდან, მიუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია სახალხო მასწავლებლების ჩარევა, გოგებაშვილის მიერ შედგენილ წიგნების შესწორება-შეფასებაში.

თვითეულ მხარეს, თვითეულ მაზრას თავისი მოთხოვნილება აქვს, რითაც ის რამდენიმედ განსხვავდება მეზობელ მაზრის ან მხარისგან; ამასთანვე ერთს კუთხეში კაცი ერთს დარგში იძენს გამოცდილებას, მეორეში კი სხვაში, რაც ჩვენ უფლებას გვაძლევს, მოვითხოვოთ, რომ სახელმძღვანელოების გადასინჯვის დროს საქართველოს ყველა მაზრებიდან იქნეს მოწვეული ორ-ორი სახალხო მასწავლებელი, იმ მაზრის მასწავლებელთა მიერ არჩეული.

სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ ჯერჯერობით ჩვენ არა გვყავს იმისთანა მომზადებული მასწავლებლები, რომლებსაც შეეძლოსთ იკისრონ სხვის დაუხმარებლათ, პედაგოგიის უკანასკნელ სიტყვაზე დამყარებული, სახელმძღვანელო წიგნების შედგენა, რაც მეტს ცოდნას მოითხოვს, მინამ ჩვენ გვაქვს; რა თქმა უნდა, საჭიროა ორივე ენათა (რუსული და ქართული) ზედმიწევნით ცოდნა, რომ სახელმძღვანელო გრამატიკის კანონებს არ ეწინააღმდეგებოდეს; ს[illegible] სხვადასხვა ერების სკოლათა ცხოვრებისა, რომ უფრო მიზნის შესაფერი გამოდგეს გადასინჯული წიგნები. [illegible] სიაში უნდა იყონ [illegible] აქეთა, ისე იქითა საქართველოში [illegible] მცხენილი ფილოლოგნი და პედაგოგები. თუ ტეხნიკურად ეს შეუძლებელი გახდება, მაშინ იგინი აირჩევენ თავიანთ შორის საკმაო რიცხვს განათლებული პირებისას, რომლებიც სახალხო მასწავლებლებთან ერთად მიიღებენ მონაწილეობას სახელმძღვანელოების გადასინჯვაში, რაც უსათუოდ უნდა მოხდეს მდგომარე წლის ზაფხულში, როცა თავისუფალი არიან ყველა დარგის მასწავლებლები, რომელთა ვალია, მუყაითად მოეკიდონ ამ საქმეს და მით ხელი შეუწყონ თვითგამორკვევის გზაზე შემდგარ ელეხობის განვითარებას.

ნიკ. ქამუშაძე.

## მეპურეთა ამხანაგობა „იმედი“

(დვდ. რაჟ. ხუნდაძის წერილის გამო).

თქვენი პატივცემული გაზეთის 56-ე №-ში მოთავსებული არის ი. გაბილაიას საპასუხოდ წერილი ღვდ. რაჟ. ხუნდაძისა, რომელიც ვრცლად ეხება მეპურეთა ამხანაგობა—„იმედის“ გამგეობის მოღვაწეობას. მე როგორც გამგეობის ერთი წევრთაგანი, მოვალეთა ვსთვლი ჩემს თავს ვაუწყო საზოგადოებას ზოგიერთი ცნობა და უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ახლო ნუმერში ქვემო მოყვანილ წერილს.

ჩემდა სამწუხაროთ, არ ვიცოდი, თუ ამა თვის 7 აპრილს იყო ახალი კოოპერატიული საზოგადოების კრება და მით დავკარგე კარგი შემთხვევა, რომ დამსწრე საზოგადოებისათვის მომეხსენებია მეპურეთა ამხანაგობის „იმედის“ მოკლე ისტორია. ეს ჩემი განზრახვა, მგონი, იცოდენ ბ.ბ. ი. გაბილაიამ და ის. კვიცარიძემ, მაგრამ მათ დავიწყნიათ შეტყობინება და განცხადებამ კი, რომელიც დარიგებულა 7 აპრილს, ჩემამდი არ მოაღწია.

ვიმეორებ, ვსწუხვარ, რომ ვერ დავესწარი იმ კრებას, მით უმეტეს, რომ კრებაზე საკითხი შეიძლება გამორკვეულიყო ყოველის მხრით.

ათი წელიწადი მეტი არის, რაც მე გადავდექი სხვებთან ერთად გამგებლობისაგან და ბოდიშს ვიხდი, თუ მეხსიერებამ რამეში მიმტყუნა და ესა თუ ის ფაქტი ვერ აღვნიშნო ზედმიწევნით, დაწვრილებით. საჭირო საბუთები და საქმეები ამხანაგობისა კი ხელთ არა მაქვს.

„მეპურეთა ამხანაგობის“ წესდება იყო სამინისტროს მიერ დამტკიცებული 1900 წელში და ამავე წლის დამლევს შესდგა დამფუძნებელთა კრება, რომელზედაც აირჩიეს კომისია წევრების საჭირო რიცხვის მოსაპოებლათ. პირველი საზოგადო კრება ამხანაგობისა და გამგე ორგანოების არჩევა მოხდა 1901 წ. გამგეობაში შედიოდენ: თავმჯდომარე თ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, წევრები—ი. ჩიმაკაძე, აქიმი გ. ქორქაშვილი, ღვდ. ს. ლეკვეიშვილი, ვაჭრები: პ. გოკიელი და ი. მამაჯანოვი და მე, თქვენი მორჩილი მონა. საზოგადოებაში ირიცხებოდა ოთხასამდე წევრი და არა 800-ი, ძირითადი თანხა იყო სულ ორი ათასი მანათი და არა 6.000 მან. (განსხვავება დიდი არის, მამაო რაჟდენ). გამგეობა ამ თანხით შეუდგა საქმის განხორციელებას და დაიქირავა ქალაქის მამულში, აფთიაქის გვერდით, სამი დუქანი და მოაწყო ფურნე. რომ საქმე კარგ ნიადაგზე დაეყენებია, გამგეობამ გამოიწერა ოდესიდან პურის ხელობის კარგათ მცოდნე ოსტატი, რომელიც მსახურებდა იქ საუკეთესო ფურნეში. გამგეობას ის აზრიც ქონდა მაშინ, რომ მექანიკური მოსაზელი და გამომცხობი მანქანები შეეძინა. გამართა მიწერ-მოწერა ამ მანქანების საწყობის ფირმებთან, მაგრამ ამ მისწრაფებას თავი დაანება, როდესაც გამოირკვა მანქანების დიდი ღირებულობა და კიდევ ის, რომ თფილისში იმ დროს გაიხსნა ქანანოვის მექანიკური ფურნე და სასურველი შედეგი ვერ მოიტანა, მეტად ძნელი საწარმოებელი გამოდგა. მაშინ გამგეობამ გადასწყვიტა გაეშენებია უბრალო კარგი სისტემის ფურნე საქმის დასაწყისად, და ამ ფურნის აშენებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ქალაქის მაშინდელმა ინჟინერმა ბ. ფონ-შულცმა.

საზოგადოების ფურნე განსხვავდებოდა უკვე არსებულ ფურნეებისაგან სივრცით, სისტემით და გიგიენის მხრით. დაიწყო ფურნემ მუშაობა, მაგრამ სამწუხაროთ პურის მყიდველი ბევრი არ აღმოჩნდა. მის მაგიერ, რომ დღეში გამომცხვარიყო პური სამჯერ ან ოთხჯერ, ძლივს საღდე-

აღინიშნოს ისიც, რომ სოციალ-დემოკრატიულ ანტი-ეროვნულ აზრების ქადაგებას და გავრცელებას ჩვენში წინაღუდგა და მედგარი, შეუპოვარი ბრძოლა გამოუცხადა ქართველი ინტელიგენციის მეორე ჯგუფმა, რომელიც ვერ შეურიგდა თვის სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედებას და მახვილის მოაართვას თავის მოძმეთა მხრივ. უკანასკნელ რამოდენიმე წლის განმავლობაში სისტემატიურათა და შეუწყვეტლათ ნაწარმოებმა გაბედულმა ბრძოლამ, ეგრეთწოდებულ სოციალ-ფედერალიტების მხრივ სოციალ-დემოკრატიულ ნაციონალურ ნიჰილიზმის წინააღმდეგ და აგრეთვე თვით ცხოვრების გამოცდილებამაც ნათლათ შეაგნებია ჩვენებურ ინტერნაციონალისტებს ეროვნული ცხოვრების აღორძინების საჭიროება და მათ ქედი მოახრევინა ნაციონალიზმის წინაშე.

როგორცა ვხედავთ ერთიმეორეს მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებს სადაო აღარა დარჩენიათ რა, ერთი მეორეს დაახლოვებიან, ერთმანეთისთვის ხელი გაუწვდიათ და მათ შორის მალე კორწინებაც უნდა მოხდეს, მაგრამ ამ უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმა რაღაც ეძნელებათ, ვერ ბედვენ, არ ეხერხება არც ერთ მხარეს. ეს მით უფრო საკვირლათ მივაჩნია, რომ როგორც ეროვნულ, აგრეთვე სოციალურ საკითხებშიაც ისინი ამჟამათ ერთს და იმავე ნიადაგზე სდგანან, ერთისა და იმავე აზრისანი არიან, მართალია, მათი სოციალურ-ფილოსოფიური და ეკონომიური შეხედულებანი ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ დღეს ერთი და იმავე პარტიის წევრები იშვიათათ ეთანხმებიან ერთმანეთს ამგვარ თეორეტიულ ხასიათის საკითხების ახსნა-განმარტებაში, მაგრამ ეს გარემოება მათ არ უშლის ხელს შედიოდენ ერთსა და იმავე პარტიაში და ერთათ მოქმედობდენ (კაუტსკი და ბერშტეინი, გედი და ჟორესისტები და სხვ.) მაშ, რაშია საქმე, რატომ არ უდლდებიან ერთი და იმავე სოციალურ და ნაციონალურ მიზნისაკენ მავალნი პოლიტიკური პარტიები? ეს ხომ მათ საგრძნობლათ გააადვილებდათ ბრძოლას, უფრო ნაყოფიერ გახდიდა მას და, მეორეს მხრით, იხსნიდა ქვეყანას პარტიულ არეულობა-დაქსაქსულობისაგან.

ჩვენის აზრით, ამ გაუგებარი მდგომარეობის თავი და თავი მიზეზი შემდეგი გარემოება უნდა იყოს: ან სოციალ-დემოკრატები არ არიან გულწრფელი ნაციონალისტები და ამიტომ ფედერალისტები ვერ ბედვენ მიენდონ მათ, ან და ეს უკანასკნელნი არ არიან გულწრფელი სოციალისტები და ამიტომ სოციალდემოკრატები ვერ უახლოვდებიან მათ. დრო დაგვანახებს, რომ ეს ჩვენი მოსაზრება არც თუ ისე ახირებული და უსაფუძვლოა, როგორც ეს მკითხველს პირველი შეხედვით ეჩვენება.

ა. თორაძე.

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის", ამით აუწყებს მეაბრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილად.

საპარტიო სავაჭრო საბაკალეო და კოლონ. საქონლის
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. პილაპონია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე.

თესლი შემოწმებულია ტფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს. 15—15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდა ერთი ფურნე. ოდესიდან ჩამოსულ ოსტატსაც სხვადასხვა გარემოებამ შეუშალა ხელი და ორი-სამი თვის შემდეგ მან თვითონ დაგვანება თავი, რადგანაც საქმე ვერ მოაწყო ისე, როგორც სასურველი იყო მისთვის და მით უმეტეს ჩვენთვის. შეიძლება, პურის ცოტა გასავლის მიზეზი ისიც იყო, რომ ერთხელ თუ ორჯერ პური ვერ გამოდგა კარგი გამომცხვარი, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი ის იყო, რომ საზოგადოების წევრებმა (члены - потребители) ძლიერ ნაკლები თანაგრძნობა გამოიჩინეს. გამგეობამ მაინც არ დაყარა იარაღი და საქმეს მიუძღოდა, პურის ღირსებაც გააუმჯობესა, მაგრამ ბაზარი მაინც ვერ მოიპოვა. თანაგრძნობა არსაიდან ჩანდა.

იმას ვერ დავფარავ, რომ ფურნეს ყავდა მუდმივი მუშტრებიც, როგორც მაგ. სამეურნეო სასწავლებელი და სხვები. მაგრამ მცირე წრის თანაგრძნობა რას უშველიდა? ალბათ საზოგადოების წევრების უმრავლესობას აზრათ ქონდა მოგების მიღება თავის წილის ფულზე, თორემ რით შეიძლება აეხსნათ იმისთანა გულგრილობა საზოგადო საქმისადმი? გამგეობამ მიმართა ზოგიერთ საპატიო წევრს თხოვნით, რომ პური ეხარჯათ, მაგრამ, სამწუხაროთ ერთმა გვიპასუხა „მე ჩემ მეფურნესთან ოცი წელი ვხარჯობ და ვერ მივატოვებო", მეორემ მიზეზათ მოგვიყვანა მისსა და მეფურნის შორის რაღაც ანგარიშები და სხვა და სხვა... გამგეობამ განიზრახა პურის გაყიდვის მოწესრიგება მეწვანილეების მოედანზე, აგრეთწოდებულ „მწვანე ბაზარში" და ამ განზრახვით მიმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა ერთი „ბუტკის" დათმობა, მაგრამ აქაც ვერ პოვა თანაგრძნობა, საბჭომ უარი უთხრა თხოვნაზე. გამგეობა მაინც ცდილობდა არ ეღალატნა თავის დანიშნულებისათვის და ცდილობდა როგორმე ბაზარი მოეპოვა პურისათვის და მიმართა უკანასკნელ საშუალებას. მან გადასწყვიტა პურის ოჯახებში დატარება. ამ მიზნით დაუგზავნა საზოგადოების წევრებს ორასამდე შეკითხვის ფურცლები, თუ ვის რამდენი პური, რომელი ხარისხის და რა დროს დასჭირდებოდა და ორას შეკითხვაზე მიიღო პასუხი, როგორ გგონიათ, ორასივე თუ ნაკლები? დიახ, მხოლოდ სამი პასუხი, მათშორის ერთი იყო ინჟინერი ბ. ცეიტლინი, მეორე—ბ. მ. ქიქოძე და მესამეს კი დღეს ვერ ვიგონებ. ამაზე მეტი თანაგრძნობა კიდევ შეიძლება?! რა თქმა უნდა, ფურნე ზარალობდა: ხარჯი ქონდა ბევრი და პურის გასავალი კი ცოტა. იმ მიზნით, რომ პური მიეწვდინა ქალაქის განაპირა მცხოვრებლებისათვის, მდაბიო ხალხისათვის, გამგეობამ პურის გაყიდვა მიანდო წვრილ მოვაჭრეებს ფასდაკლებით, მაგრამ, სამწუხაროთ ფულის განაღდება აგენტებისაგან გაძნელდა და ზოგიერთებზე, მგონი, კიდევაც დაიკარგა. ყოველივე ეს გარემოება საზოგადო კრებაზე მოხსენებული იყო და კრებისაგან მიღებული.

ამრიგათ აწარმოებდა გამგეობა თითქმის სამი წლის განმავლობაში საქმეს, არ ერიდებოდა სესხის აღებასაც პირადის პასუხისმგებლობით და შემდეგ, თანახმათ საზოგადო კრების გადაწყვეტილებისა, საქმის წარმოება დაუთმო ახალ გამგეობას, რომელშიაც შედიოდენ უფრო პრაკტიკული ხელმძღვანელნი—ვაჭრები და 1903 წელს მაისში ფურნე ყოველი ინვენტარითა და საქმეებით გადასცა მათ. ამ გამგეობაში შედიოდენ თუ არ ვსცდები: ოლქის სასამართლოს მოხელე ი. პ. კვირკელია, კანდიტერი მუნჯიევი, ვაჭრები ტ. გაბუნია, ვ. ეორჟოლაძე, ი. მესხი და სხვანი.—ეს განახლებული გამგეობაც ბევრს ეცადა, ფურნე გაღმა მხარეზე გადაიტანა, მაგრამ სასურველათ ვერც მათ წაუვიდათ საქმე და შედეგი მეც არა ვიცი რა, რა მოყვა. სამწუხაროთ, მგონი, საქმის ლიკვიდაცია მოხდა საზოგადო კრების ნებადაურთველათ. წინა წლების ანგარიშები კი საზოგადო კრებას თავ-თავის დროზე მოხსენდა და დამტკიცებული იყო.

(დასასრული ხვალ).

**იგ. პურადაშვილი.**

## დაბა-სოფელი.

**ს. ძირულა.** (შორაპნის მაზრა) ამ დღეებში ძირულის ადგილობრივმა აფთიაქარმა ბ. მეთოდე ვასილის ძე ქათამაძემ თხოვნით მიმართა აჯამეთის მემამულეთა ბ. ანანოვების მართველს, და სთხოვს უფასოდ მისცენ ხეტყის მასალა ხიდის ასაგებად მდინარე ჩხერიმელაზე, ძირულის რკინის გზის სადგურის პირდაპირ. ამ მდინარეზე საცალფეხო ხიდს აკეთებენ ადგილობრივი ვაჭრები სოფლელების დახმარებით, მაგრამ წელიწადში ორჯერ მაინც უნდა წაართვას წყალმა. ორი წლის წინათ ამ მდინარემ მოიტაცა გლეხი პაქსაშვილი და გადაარჩინა დახრობას ძირულის მოვაჭრემ კ. გელაშვილმა, რომელიც მთავრობამ კიდეც დააჯილდოვა ვერცხლის მენდალით. ვინ მოთვლის რამდენ გასაჭირში ჩაუყენებია ამ წყალს ადგილობრივი მცხოვრებნი მოდიდების დროს. გუბერნატორ კ. სლოვოჩინსკის დროს ბ. ქათამაძემ აღძრა მიწერ-მოწერა ნამესტნიკის კანცელარიაში, რომ ზემოხსენებულ მდინარეზე ხიდი აგებულიყო ხაზინის ხარჯით, მაგრამ ნამესტნიკის კანცელარიამ არ შეიწყნარა ქათამაძის თხოვნა. დღეს ბ. ქათამაძეს უნდა ხიდი გაკეთდეს ოჯახურის წესით, ხალხის დახმარებით.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა და ხალხიც შემწეობას აღმოუჩენენ ბ. ქათამაძეს და ამ დიდ საქმეს შეასრულებიებენ ხალხის სასარგებლოდ. ქათამაძეს სხვა ხიდის საჭირო მასალისთვისაც კაცი გაუგზავნია ტფილისში ძმ. გუნცაძეების რკინის საწყობში და რაც რკინის მასალა დასჭირდება ხიდისთვის, ფასებს შეეკითხა. გუნცაძისაგან უკვე მიიღო პასუხი, რომ ფას-დათმობით მიეცემა მასალა ხსენებულ ხიდისთვის.

**ა. გორგაძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

ქუთაისის მოქალაქეს სიმონ იაკობის ძე თევდორაძეს თქვენ პატივცემულ გ. „სამშობლო"-ს 38-ე №-ში დასტამბული აქვს წერილი ჩვენ წინააღმდეგ. ნება მიბოძეთ ამავე გაზეთის ფურცლებით შემდეგი პასუხი მოვახსენოთ ბ. თევდორაძეს: თევდორაძე, სხვათა შორის, გვაუწყებს: „ვსწერ ამას იმიტომ კი არა, რომ, როგორც თქვენ ამბობთ, ნიადაგი მოვამზადო. როცა საქმე ირჩევა ვექსილის სიყალბეზე, იქ გაზეთში ლაპარაკი კი არ კმარა: დასამტკიცებელი საბუთებია საჭირო (?) ეს მე კარგათ ვიცი"-ო!

დასამტკიცებელი საბუთი, ბ. სიმონ, ჯერჯერობით თქვენ მიერ ხელმოწერილი ვექსილი 20,000 მანეთისა არის წარმოდგენილი სასამართლოში, რომელი ძიებაც, ეჭვს გარეშე, სისრულეში მოვა ჩვენდა დასაკმაყოფილებლად. გარდა ამისა, რომელი საბუთი გნებავდათ წარმომედგინა, ჯერ ჩემთვის გაუგებარია. ბრძანებთ, რომ თქვენ იმდენი ქონება გაქვთ, რომ ამ მხრით თქვენ უმჯრო გიცნობენ ჩემზე, რომ ამ ფულების გადახდა შეგიძლიათ. სრულიად გეთანხმებით ამაზე, რომ შეძლებული კაცი ბრძანდებით. კეთილსინიდისიერ ვაჭრად მეგულებოდით და ამიტომაც გენდვეთ ამოდენა ფული, თორემ გაკოტრებულებს ოცათას მანეთს რომელი ჭკუათა მყოფელი ადამიანი მიასესხებს?!. იმედი რომ მქონდა მოგცემდი ამ ფულს, მიტომ მოხდა, რომ უკანასკნელი ვექსილის ვადის დღემდი გიყურეთ. აღარ მომეცით და გავსაჩივრეთ!. ხომ გახსოვთ, მაშინ კარგი კოწია ბაქრაძე ვიყავი, როდესაც თითქმის ყოველდღე ჩვენს კარებზე ბრძანდებოდით, აქ რომ ვმსახურობდი, და ახლა კი რაებს ამბობთ?! რასაკვირველია, შეძლებული იქნებით, თუ ოც-ოცი ათასიანი ვალები თავიდან აიშორეთ.

ამ ვექსილზე მეტი ფულიანი ვექსილებიც და ლისტიც მაქვს დღესაც გაუსაჩივრებელი და სისრულეში მოუყვანელი, მაგრამ ეს პირადი ჩემი საქმეა და არა თქვენი საკანტროლო, ბატ. თევდორაძევ! თავ. ემუხვარსაც მართებს ჩვენი ორმოცდაათი ათასი მანეთი, მაგრამ ჯერ არ ვართ დაკმაყოფილებული და რა საჭიროა მოგითვალო რამდენი მაქვს მოსაკრეფი გავადებული ფული? თქვენ ხაზავთ იმ გარემოებას, რომ მე ვითომდა ვალებში ჩავვარდი ჩემი ვალები რა თქვენი სანგარიშოა, არ მესმის. ესეც ხომ არ გიკვირთ,—გავადებულიც ბევრი მაქვს. ჩემი გადაცვალებული მეუღლის ქონების გაყიდვის შესახებ, ვერ გამიგია თუ რისთვის მაკიჟინებთ!..

ჩემი მეუღლე რა ზნეობრივ და ქონებრივ განსაცდელში ჩავაგდე, ამის პასუხს ცალკე მოგთხოვთ, როცა დრო მექნება!.. რაიცა შეეხება იმას, რომ მე ვითომდა ჩემი გარდაცვალებული მეუღლის ქონებათა სიაში არ მაქვს ეს ვექსილი შეტანილი, ვინ მოგატყუათ, ბ. სიმონ, რომ ეს ასეა? მე ორი სია მაქვს ჩემი მეუღლის დარჩენილ ქონებისა: პირველი და მეორე—დამატებითი. დამატებით სიაში მოთავსებული გახლავთ არა მარტო თქვენგან ბოძებული ოცი ათასი მანეთის ვექსილი, არამედ ორმოცდაათი ათასის მან., საბუთი თავ. ემუხვარისა და სხვ...

საზოგადოებაში რომ გაზეთის საშუალებით ნიადაგი შეიძლება სასამართლოსთვის მომზადდეს, ეს მიკვირს, რომ თქვენთვის დღესაც გაუგებარია. სასამართლო რომ საზოგადოების ხმას ანგარიშს უწევს, ეს დაიჯერეთ, ბ. სიმონ, ყველასათვის საანბანო ჭეშმარიტებაა.

მე, როგორც კეთილშობილი ქართველი მოქალაქე, ჩვენი საზოგადოება მწამს, მიყვარს და მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, ანგარიში უნდა გაუწიო ყოველგვარ ადამიანურ საქმის დასაწყისში და სასამართლომდი თუ კი რამე ამ საქმეზე ჩემ წინააღმდეგ გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა, ნუ გეწყინებათ, არ შემეძლო უყურადღებოთ დამეტოვებია. აწი კი სასამართლომდი, მეტად მიმაჩნია, ბ. თევდორაძევ, ამ საგანზე პოლემიკა, რომელიც დაიჯერეთ სრულიად არ ეინტერესება პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას.

პორუჩიკი **კონსტანტინე იოსების ძე ბაქრაძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

## გარეშე ცნობა.

**ბ. აბრამ შაფათას ძეს ენუქაშვილს.**

წავიკითხე, თუმცა ცოტა გვიან, თქვენი საჯარო მომართვა სამედიატორო სამართალში გამოსვლის შესახებ. რათ დაგჭირდათ გაზეთი, რომელიც თქვენი საქმე არ არის და რომელსაც სხვა უფრო სუფთა, მაღალი საზომი აქვს... ჩემ მიმართ ბექდურ სიტყვას რათ მიმართეთ, როდესაც მე პირადათ არც თქვენთვის და არც თქვენი ვექილისათვის არას დროს უარი არ მითქვამს არც ერთს საშუალებაზე, რომელიც კი ბნელით მოცულ ჩვენ დავას რაიმე ნათელს მოჰფენდა? ალბად, თქვენს გამბრიყვებელს მოკლე ჭკუის ლოღიკა ჰქონია და პაწია ნამუსი, თორემ ღია კარის მტვრევას როგორ გირჩევდათ? ნუთუ არ იცით სულ ელემენტარული წესი რიგიანობისა—ორნი მესამეს (ამ შემთხვევაში პერიოდულ ორგანოს) მხოლოდ მაშინ მიმართვენ, როდესაც ერთის წინადადებას მეორე არ ეთანხმება? მე კი სამედიატორო სამართლის გაჩენაზე წინადადებით როდის მომმართეთ, ან მე ამ სამართალზე უარი როდის მოგახსენეთ? მაგრამ რაღაი უბრალო, კერძო საქმე, საჯაროთ გამოიტანეთ, საჭიროთ მიმაჩნია მკითხველ საზოგადოებას მცირეოდენი რამ მოვახსენო.

მამა ჩემის სიკვდილის შემდეგ მის ქაღალდებში ერთი სამი ათასი მანეთის თამასუქი აღმოჩნდა, დაწერილი მამა ჩემის სახელზე და ხელმოწერილი ქუთათურ ვაჭრების—გაგულაშვილების და ფიჩხაძის მიერ. თქვენ ამტკიცებთ—ეს თამასუქი მივუტანე მამათქვენს იმ პირობით, რომ თუ დასახელებულნი ფიჩხაძე-გაგულაშვილები ვადაზე ვალს გარდიხდიდენ, მაშინ მამათქვენი მოვალე იყო ამ თამასუქის ვალიუტა ჩაერიცხა იმ აღებულ სესხში, რომელიც მე მისი მმართებდა. თქვენვე დასძენთ: ფიჩხაძე-გაგულაშვილებს ჩემი ემართათ 3000 მან. და აი ამ ჩემს მოვალეებს თამასუქი გველესიანზედა არა ჩემ სახელზე ჩამოვაწერინე, ვინაიდან კრედიტორების მეშინოდაო, ვითაარცა ისეთ პირს, რომელიც თამასუქის ვალიუტა ისე, როგორც სესხი, ჩვენ ივანე გველესიანის მემკვიდრეებმა უკვე მივიღეთ. ახლა თქვენ თხოულობთ ამ უკანასკნელის (3.000 მ.) დაბრუნებას, რადგან, თქვენის სიტყვით, თამასუქი იგი უფულოა, რომ მასში პირადათ ივ. გველესიანისაგან თქვენ არაფერი მიგიღიათ. ყოველ ამის დასადასტურებლათ თქვენ სრულიად არავითარი საბუთი არ მოგეპოვთ, არც ხელწერილი, რომელიც ამ შემთხვევაში უეჭველად საგულისხმოა, არც რაიმე სხვა წერილობითი არგუმენტია ჩვენ ქაღალდებში შესახებ იმისა, თუ რა ხასიათისაა ეს თამასუქი. თქვენი საფუძველი მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენებაა, რომელსაც, მართალია, ბევრნი არ ერწმუნებიან, მე მაინც სრულ ნდობას ვუცხადებდი, რაიც ვერც თქვენ და ვერც თქვენმა განუყრელმა მოწმემ ვერ დააფასეთ. დიახ, მხოლოდ ეს ნდობა თქვენ მოწმისადმი იყო მიზეზი იმისა, რომ მე წინათაც და ახლაც თანახმა ვიყავი ყოველი თქვენი წინადადება განუსჯელათ მიმეღო. თორემ სხვა ასეთ პირობებში პირსაც არ გიჩვენებდათ და პირველ მოთხოვნილებისათანავე წინა კარით შემოსულს უკანა კარით გაგისტუმრებდით. ჩემი ასეთი დამოკიდებულება საქმისადმი თქვენ ძალიან კარგად იცოდით, მაგრამ სულმა წაგსძლიათ და ჩემი გაბიაბრუება მოინდომეთ, ვნახოთ, თუ შესძლებთ.

მაშასადამე, არც სამედიატორო სამართლის წინააღმდეგი ვყოფილვარ, ხოლო თქვენთან ამ სამართალში გამოსვლა ცოტა არ იყოს მეჩოთირება და იცით რატომ? ჯერ ერთი, მე წესათ მაქვს დადებული—ვეკამათო მხოლოდ იმას, ვისაც ანგარიშს ვუწევ. გარდა ამისა, სამედიატორო სამართალი ნამუსის, პატიოსნების სამართალია, ზნეობრივ გარემოებათა აწონ-დაწონვაა. თქვენ კი მას შემდეგ, რაც თავი თვისი ისეთ პირათ გამოაცხადეთ, რომელსაც კრედიტორების წინაშე პირი ნათელი არა აქვს, ამით უკვე დაჰკარგეთ ყოველი ზნეობრივი უფლება ასეთს სამართალში ვინმე გამოიწვიოთ. ჩემს გამოუსვლელობას თქვენთან ერთი მიზეზიც აქვს: თქვენ ბრძანებთ—თუ გავმტყუნდი, ხუთას მან. წერა-კითხვის საზოგადოებას შევწირაო. კაი დაგემართოსთ, მაგრამ მე მეშინია, ვაი თუ თქვენგან ეს შეწირულება ამ საზოგადოებამ არც კი მიიღოს, ვინაიდან არა ყოველი სულიერი არსებისაგან მიიღების საჩუქარი.

განა ამ ძნელ მდგომარეობაში მსურს საქმე გაგიადვილოთ, მე მირჩევნია ჩემი დავკარგო, ვიდრე შესაძლებელი შეცდომით ვისარგებლო, მე ასე ვშსჯელობ: რადგან არ ვიცით ჭეშმარიტება სად არის, ვის მხარეზეა, ამიტომ, ჩემი რწმენითა და ზნეობრივი შეხედულებათა მიხედვით, უმჯობესათ მიმაჩნია მე დავთმო და თქვენ დაგაკმაყოფილოთ. ხოლო საქმის დასათავებლათ თქვენგან ერთს რამეს მოვითხოვ: ფიცი დასდევით სინაღოღაში ებრაელთა სჯულის ყველა წესების დაცვით, რომ თქვენ თამასუქის ვალიუტა არ მიგიღიათ. ჩემთვის ესეც საკმარისი იქნება—მყისვე გარდვიხდი უკვე ჩემ მიერ მიღებულ ხვედრს ფულს—1500 მან.

ამასთანავე გადაჭრით გიცხადებთ, რომ ამის შემდეგ თქვენ ჩემგან ვერავითარ ბეჭდურ პასუხს ველარ მიიღებთ, რადგან არავითარი სურვილი არა მაქვს თქვენთან კამათი გავმართო გაზეთის ფურცლებზე და საზოგადოება შევაწუხო. თუ გენებებათ ჩემთან მოლაპარაკება, შეგიძლიათ პირდაპირ მომმართოთ და მე მზათ ვარ ყველაფერზე გიპასუხოთ.

**გრ. გველესიანი.**

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, ტფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
კატალოგები უფასოთ თ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. ხახანაშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій" 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники" въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.